



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

## გრიშკევიჩი მარგარიტა ნიკონის ასული

გრიშკევიჩი მარგარიტა ნიკონის ასული (5. VIII. 1917, პეტროგრადი, - 2003, იქვე), ბალეტის მსახიობი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1958).

1937 დაამთავრა ლენინგრადის ქორეოგრ. სასწავლებელი (პედ. ა. ვაგანოვა), 1940 - ამავე სასწავლებლის პედ. განყ-ბა (სპეც. დისციპლინების პედაგოგის სპეციალობით). 1937-40 იყო ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის, ხოლო 1942-იდან - თბილ. გ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი.

მაღალი ოსტატობითა და არტისტიზმით შეასრულა კლასიკური რეპერტუარის მრავალი წამყვანი პარტია. 1948-92 იყო თბილ. ვ. ჭაბუკიანის სახ. ქორეოგრ. სასწავლებლის კლასიკური ცეკვის მასწავლებელი. მიწვეული იყო საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში ბალეტის პედაგოგად (1963-64 - კუბაში, 1966-67 - ეგვიპტეში, 1971-72 - კოლუმბიაში).

**ა. ჩხეიძე**

---